გიორგი ბერიძე *

ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა შრომითი ინსპექციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე საქართველოში

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფომ 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც სხვა ბენეფიტების პარალელურად ითვალისწინებს რიგი ამოცანების შესრულების ვალდებულებასაც, რაშიც იგულისხმება საქართველოში საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგის რიგი სფეროების მიახლოება ევროკავშირში არსებული მართვა-გამგეობის სტანდარტებთან.

ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში შრომითი ურთიერთობების სფეროზე და გააჩინა რიგი რეგულაციების შემოტანისა და ინსტიტუტების შექმნის და გაძლიერების აუცილებლობაც, ასეთია შრომითი ინსპექციის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ფუნქციაც სამუშაო ადგილზე მშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

სტატიაში განხილულია შრომითი ინსპექციის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესი ევროკავშირთან ინტეგრაციის კონტექსტის გათვალისწინებით, სტატიის მიზანია ევროპეიზაციის ინსტიტუციონალური თეორიის დახმარებით, აღწეროს მშრომელთა ინტერესების დამცველი ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესი, რასაც შეუძლია ფუნდამენტური ცვლილებების შეტანა საქართველოში შრომითი ურთიერთობების პრაქტიკაზე.

საკვანძო სიტყვები: ევროპეიზაციის თეორია; შრომითი ურთიერთობები; ევროკავშირი; ასოცირების ხელშეკრულება.

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო 1991 წლიდან ჩამოყალიბების რთულ გზას დაადგა, რაც საბჭოთა სამართლებრივი და ინსტიტუციური სივრცის ალტერნატივის შექმნის აუცილებლობასაც გული-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

სხმობდა. საერთაშორისო ორგანიზაციებში ეტაპობრივად გაწევრიანების პარალელურად, ქვეყანას პოლიტიკური არეულობების, ეთნიკური კონფლიქტების და სამოქალაქო ომის გავლაც მოუწია.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქართული სახელმწიფოსთვის სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასთან ერთად, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო საკუთარი როლის პოვნა საერთაშორისო დღის წესრიგში; საქართველომ მისი საგარეო პრიორიტეტები მკაფიოდ 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შედეგად, ძალაუფლების ცვლილების შემდეგ გამოკვეთა, ეს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების დეკლარირებულ სურვილში გამოიხატებოდა.

ამ გზაზე, საქართველოს დიდ საგარეო გამოწვევებთან გამკლავებაც მოუწია, რაშიც რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომს ცენტრალური ადგილი უკავია, თუმცა ქვეყანამ პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაში გამოიხატა, ასოცირების ხელშეკრულებამ დიდი ცვლილებების აუცილებლობაც მოიტანა საქართველოს სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკაში.

ვარდების რევოლუციიდან ასოცირების ხელშეკრულებამდე პერიოდი საქართველოში რადიკალური დერეგულაციების ხანა იყო, ამ დერეგულაციებმა შრომით ინსტიტუტებზე კი განსაკუთრებით მძიმე ზეგავლენა მოახდინა. მაგალითად, საქართველოში შრომის ინსპექცია 2006 წელს გაუქმდა, ამ გადაწყვეტილების გასამართლებელი არგუმენტი კი ბიუროკრატიაში არსებული კორუფცია იყო. ხელისუფლების რიგი წარმომადგენლები შრომის ინსპექციას ბიზნესის განვითარებისათვის ერთგვარ დაბრკოლებად განიხილავდნენ, კვლევაში - რომელიც ინსპექციის გაუქმების შედეგების შესახებ ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის დაფინანსებით შეიქმნა 2018 წელს, აღნიშნულია რომ შრომის ინსპექციის გაუქმება სამუშაო ადგილებზე ტრაგიკული შემთხვევების ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო, და რომ ფა-

ტალურ შემთხვევათა რიცხვი 74 პროცენტზე მეტით გაიზარდა შრომითი ინსპექციის გაუქმების შემდეგ (Tchanturidze, 2018, p. 3)

შრომის ინსპექციის გაუქმების ნეგატიურ შედეგებზე საქართველოში წერენ პროფესიული კავშირები და არასამთავრობო ორგანიზაციები, უკანასკნელ პერიოდში კი ამ მხრივ კვლევა აკადემიურ სივრცეშიც მიმდინარეობს სტატიებისა თუ დისერტაციების სახით, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ანა დიაკონიძის დისერტაცია (Diakonidze, 2018), რომელიც საქართველოში არსებულ დასაქმების პოლიტიკას შეეხება, დერეგულირების ეს პერიოდი გარკვეულწილად სრულდება ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად და შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2014 წლიდან სახელმწიფო არსებითად უფრო ძლიერად ბრუნდება კიდეც შრომით ურთიერთობებში, ეს ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნაც იყო, ევროკავშირი საქართველოსგან დერეგულაციური პოლიტიკის გადახედვისა და რიგი რეფორმების საჭიროებაზე მიუთითებდა.

სტატიაში შესწავლილია საქართველოში შრომითი ინსპექციის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესი ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, ამისათვის კი საჭიროა რომ გამოვყოთ საკვლევი კითხვა:

როგორ ინტეგრირდება ევროკავშირში არსებული შრომითი ურთიერთობების სტანდარტები საქართველოში არსებულ საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენით?

საჭირო მასალის მოსაძიებლად, კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, მათ შორის სამთავრობო განკარგულებების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შრომითი კანონმდებლობის ანალიზი.

ევროპეიზაციის ცნება - ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებები

ევროპეიზაციის ცნება ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გახდა სოციალური მეცნიერებების კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი. ამის უმთავრესი მიზეზი ევროკავშირის გაფართოებაა.

აღსანიშნავია, რომ ევროპეიზაციის კონცეპტუალიზაციამ განვითარების ვრცელი გზა განვლო და სხვადასხვა ავტორი ამ ცნების განსხვავებული თეორიული გადმოსახედიდან განიხილავდა, ამ აკადემიურ მსჯელობას დიდწილად იოჰან ოლსენის შეკითხვამ დაუდო საფუძველი: თუ რა იგულისხმება ევროპეიზაციაში და არის თუ არა ეს ცნება შესასწავლად ვარგისი (Olsen, 2002). ოლსენი ევროპეიზაციის ცნებაში სხვადასხვა პროცესებს გამოყოფდა, მან ეს პროცესები ხუთ პუნქტად ჩაშალა.

- „საგარეო საზღვრების ცვლილება“ - ამის საუკეთესო მაგალითი ევროკავშირში მიღებული ახალი სახელმწიფოებია, ვისზეც ავტომატურად გავრცელდა საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტები, ასევე კანონები, ღირებულებები და ინსტიტუციონალური ვალდებულებები.
- ინსტიტუტების განვითარება ევროკავშირის დონეზე.
- ცენტრის ზეგავლენა მმართველობის ეროვნულ სისტემებზე.
- პოლიტიკური ორგანიზების ფორმების ექსპორტი - აქ იგულისხმება ევროკავშირის ღირებულებების და მართვა-გამგეობის პრინციპების ექსპერტი უშუალოდ ევროკავშირის საზღვრებს გარეთ - შესაბამისად ჩვენს მიერ შესწავლილი პროცესი ამ პუნქტიდან გამომდინარეობს.

ევროპეიზაციის პოლიტიკური ''გაერთიანების'' პროექტად გამოყენება

არსებობს ევროპეიზაციის შესწავლის მცდელობა როგორც სხვადასხვა თეორიული პერსპექტივიდან, ასევე მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული მასალის გამოყენებითაც, ზოგან ევროპეიზაციის თეორიას მეტა-თეორიასაც უწოდებენ (Howell, 2002), რომელიც სხვადასხვა თეორიულ პერსპექტივებს აერთიანებს და პირველ რიგში უშუალოდ ევროპეიზაციის ცნებას აყენებს, თუმცა ჩვენ გადავწყვიტეთ რომ გამოვყოთ სამი ძირითადი პერსპექტივა, რომელიც მნიშვნელოვანია უშუალოდ ჩვენი საკვლევი ობიექტის შესწავლისათვის, ესენია ისტორიული სოციოლოგია (Flockhart, 2008), ევროპეიზაციის ინსტიტუციონალური თეორია (Schimmelfennig, 2015) და ნეო-ფუნქციონალიზმი (Ladrech, 1994)

ევროპეიზაციას ისტორიული სოციოლოგიის პერსპექტივიდან განხილვისას, ავტორი, ტრინ ფლოკჰარტი მიუთითებს, რომ ევროპეიზაციის შესწავლის დღის წესრიგი თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით ვიწროა, რომ ევროპეიზაცია იქცა ფენომენად „დასაწყისის გარეშე“ სადაც იგნორირებულია ისტორია და კვლევა ვიწრო გეოგრაფიულ, პროცესზე ორიენტირებული მიმართულებით მიმდინარეობს, ფლოკჰარტი მიიჩნევს, რომ ევროპეიზაციის ცნების განხილვა უშუალოდ ევროკავშირს უკავშირდება და მის გარშემო ხდება კიდეც, და როცა შევისწავლით ევროკავშირში არსებული ნორმებისა და დღის წესრიგის ''ჩამოტვირთვას'' ახალი ან პოტენციური წევრების მიერ, სოციალური შესწავლის, ადაპტაციისა და გაკვეთილების სწავლის კონტექსტში, ხშირად გვავიწყდება ისტორიული კონტექსტი და ეს თეორიული მიმდინარეობა ისტორიული „განსაკუთრებულობის“ განცდას აძლიერებს, ევროპეიზაციის პროცესი კი „განსაკუთრებულის“ მიერ უფრო სუსტის განვითარებად, ხელშეწყობად აღიქმება. ფლოკჰარტი გვთავაზობს ცნების „ევროპეიზაციის“ „ევროკავშირიზაციით“ შეცვლას, რომელიც თავის მხრივ

უფრო ფართე ''ევროპეიზაციის'' ცნების მხოლოდ და მხოლოდ მცირე ნაწილია (Flockhart, 2008).

ფრანკ შიმმელფენიგი, რომელიც ევროკავშირის გაფართოებას და „ევროპეიზაციას ევროპის „გარეთ“ ახალი ინსტიტუციონალური პერსპექტივიდან აღწერს, საუბრობს ევროკავშირის გავლენაზე, რომელიც მას „სამიზნე“ ხელისუფლების მიმართ გააჩნია (სამიზნე ხელისუფლებაში, ბუნებრივია შესაძლებელია ვიგულისხმოთ ასოცირებული წევრებიც). შიმელფენიგის მიხედვით, ევროკავშირს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის სხვა ქვეყანაზე გასავრცელებლად გააჩნია ორი მექანიზმი - ესენია პირობითობის და სოციალიზაციის მექანიზმები, შიმელფენიგი ხსნის, რომ ევროკავშირი არა წევრ, ასოცირებულ სახელმწიფოებს სხვადასხვა დახმარებით უზრუნველყოფს, ესენია ფინანსური დახმარება, ბაზარზე წვდომის უფლების მიცემა ან ინსტიტუციონალური კავშირების უზრუნველყოფა, თუმცა ამავდროულად ევროკავშირი ითხოვს სამიზნე ხელისუფლებებისაგან მისი მოთხოვნების გათვალისწინებას, ეს პირობითობის მექანიზმის ეგიდით ხდება (Schimmelfennig, 2015, p. 8), სოციალიზაციის მექანიზმი კი გულისხმობს ევროკავშირის მიერ სამიზნე ხელისუფლებისათვისათვის ევროკავშირში არსებული საჯარო პოლიტიკის დღისწესრიგის სწავლებას, მათ დაყოლიებას და მოტივაციას რომ გაითვალისწინონ და მიიღონ ევროკავშირში ევროკავშირის საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგი (Schimmelfennig, 2015, p. 9), შიმმელფენიგის მიხედვით, სოციალიზაცია ასევე გულისხმობს „სოციალურ სწავლას“ „კონსტრუქციულ გავლენას“ და „კომუნიკაციას“.

ნეო-ფუნქციონალისტური პერსპექტივიდან აღწერს ევროპეიზაციის ფენომენს რობერტ ლადრეხი, რომელიც ევროპეიზაციის საწყის წერტილად ევროკავშირის პოლიტიკური დინამიკის ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის ლოგიკის და ნორმების ნაწილად ქცევას მიიჩნევს, ლადრეხის მიხედვით ევროპეიზაცია „წერტილო-

ვანი პროცესია, რომელიც ახდენს პოლიტიკის მიმართულებისა და ფორმის რეორიენტაციას იმგვარად, რომ ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკა ხდება ეროვნული საჯარო პოლიტიკის კეთების ორგანიზაციული ლოგიკა'', რაც ნეო-ფუნქციონალური ენით იგივეა, პროცესების ''ზემოდან ქვემოთ'' ჩამოტვირთვა (Ladrech, 1994), სტატიაში შესწავლილი პროცესი, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ საქართველოში შრომის ინსპექციის ინსტიტუტის აღდგენაში გამოიხატება, ცალსახად ევროკავშირში არსებული საჯარო პოლიტიკური პრიორიტეტების „ჩამოტვირთვას" გამოხატავს, კვლევის მიზანი კი ამ „ჩამოტვირთვის" პროცესის აღწერაა.

შრომის ინსპექცია, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი

შრომითი სამართალი XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში მომხდარი ინდუსტრიული რევოლუციის შედეგია, XIX საუკუნეში პირველად ჩნდება შრომითი ინსპექციის სერვისები, რომელთა მოვალეობაც მშრომელთა დამცველი კანონების აღსრულების უზრუნველყოფა იყო, პირველი ქვეყანა, სადაც შრომის ინსპექციის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, დიდი ბრიტანეთი იყო, ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა მოიტანა ბრწყინვალე ეკონომიკური ზრდა, მაგრამ პრობლემა იყო მზარდი უთანასწორობა, იმ დროინდელი ხელისუფლებები როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ინდუსტრიულ საზოგადოებებში არ ახორციელებდნენ ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს, ხშირი იყო ქალების და ბავშვების შრომა, რომელთა განაზღაურებაც განსაკუთრებით მცირე იყო, 13-14 საათიანი სამუშაო დღეები - ნორმა იყო, კვირაში 6, ზოგჯერ კი 7 სამუშაო დღეც ასევე ნორმად მიიჩნეოდა, არ არის გასაკვირი რომ არ არსებობდა უსაფრთხოების გარანტიები და პირველი თაობის დანადგარებთან სამუშაო ინციდენტების რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო, სამუშაო ადგილზე დაავადებისა და დასახიჩრების გამო ანაზ-

ღაურების აუცილებლობას პირველად ხაზი ბრიტანელმა ინდუს-ტრიალისტმა და სოციალისტური თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდე-ბელმა, რობერტ ოუენმა გაუსვა (Internatioal Labour Organization , 1986, p. 1).

აბრეშუმისა და სხვა საწარმოებში მომუშავეთა ''ჯანმრთელო-ბისა და მორალის დაცვის'' უზრუნველყოფის მიზნით პირველი სა-მართლებრივი რეგულაცია დიდ ბრიტანეთში 1802 წელს მიიღეს, თავდაპირველად ინსპექტირება მოხალისეობრივი რაზმების მიერ ხორციელდებოდა, მოხალისეობრივი პრაქტიკის არაეფექტურობის გამო, 1844 წლიდან უკვე შეიქმნა შრომის ინსპექტორის, როგორც საჯარო მოხელის პროფესია, შრომითი ინსპექციის ეს ინსტიტუტი მალევე გავრცელდა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც (Internatioal Labour Organization , 1986, p. 1).

შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკას და კონკრეტულად შრომითი ინსპექტირების ინსტიტუტს ათწლეულები დასჭირდა რომ შეძლებოდა საკუთარი მოვალეობების აღსრულება და ჩამოყა-ლიბებულიყო როგორც გამართული, კარგად მომუშავე ბიუროკ-რატია, ეს პროცესი სხვადასხვა პროტესტებისა და გაფიცვების პარა-ლელურად მიმდინარეობდა, პირველი მსოფლიო ომისათვის შრო-მითი ინსპექტირების ინსტიტუტი 20-მდე ქვეყანაში მოქმედებდა (Internatioal Labour Organization , 1986, p. 3).

XX საუკუნის მანძილზე, შრომითი ინსპექტირების ინსტი-ტუტი მთელს მსოფლიოში გავრცელდა და რიგ სახელმწიფოებში კარგად გამართული საჯარო სამსახურის სახეც მიიღო, ამას ხელი შეუწყო „საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის - (ILO)“, გაეროს და რიგი რეგიონული გაერთიანებების აქტივობებმა, მათ შორის არის ევროკავშირი.

ევროკავშირი და შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკა

ევროკავშირის შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკა მრავალი წლის მანძილზე ყალიბდებოდა და ის გამყარებულია რიგი კონვენციებითა და წესდებებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი მათგანი:

- სოციალური მოქმედების პროგრამა[1]
- მუშათა ფუნდამენტური შრომითი უფლებების საერთო წესდება[2]
- ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა წესდება[3]

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სამი დოკუმენტი ერთგვარი საძირკველია, რაზეც დგას როგორც უშუალოდ ევროკავშირის შრომითი უსაფრთხოების პოლიტიკა, ასევე ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი შრომითი უსაფრთხოების ის სტანდარტები, რისი ეტაპობრივი მიღწევაც ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ ევროკავშირთან ასოცირებულ წევრებს ევალდებათ. შრომითი უსაფრთხოება, სოციალური დაცვა, კოლექტიური ქმედების უფლება და რიგი სხვა ბენეფიტები სწორედ ამ სამი დოკუმენტის საფუძველზე არის გამყარებული, ასოცირების ხელშეკრულებაში კი როგორც წესი, ევროკავშირი მოითხოვს შრომითი უსაფრთხოების სფეროში მხარეებს შორის პირველ რიგში შეჯერებას სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაზე, შემდეგ კი პოლიტიკის კეთების დონეზე ამ შეთანხმებების მაქსიმალურ იმპლემენტაციას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მუხლს მოიცავს, პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ

[1] https://www.eurofound.europa.eu/observatories/eurwork/industrial-relations-dictionary/social-action-programme

[2] https://www.eurofound.europa.eu/observatories/eurwork/industrial-relations-dictionary/community-charter-of-the-fundamental-social-rights-of-workers

[3] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT

მუხლი 228, სადაც მხარეები თანხმდებიან შრომითი უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფაზე[4], შრომითი უსაფრთხოების საკითხი განვრცობილია მომდევნო მუხლ 229-ში, სადაც მხარეები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 86-ე სესიაზე და „სამუშაო ადგილებზე ფუნდამენტური პრინციპებსა და უფლებებზე“ დაყრდნობით თანხმდებიან რომ პატივი სცენ, წინ წამოიწონ და განახორციელონ ძირითადი შრომითი სტანდარტები კანონების სახით[5] მათ შორის არის შრომის უსაფრთხოებაც[6].

შრომითი უსაფრთხოების პრობლემები და შრომითი ინსპექტირების ინსტიტუტის განვითარება საქართველოში

საქართველოში 2006 წლამდე მოქმედებდა 1973 წლის საქართველოს სსრ-ს ეგიდით მიღებული შრომითი კანონმდებლობა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ''საქართველოს შრომის კოდექსმა'' შეცვალა[7], რომელიც რადიკალური დერეგულაციური ცვლილებებით გამოირჩეოდა, მათ შორის შეგვიძლია აღვნიშნოთ შრომის ინსპექციის გაუქმებაც, რამაც გამოიწვია შრომითი უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების მოშლა და ტრაგიკული ინციდენტების მკვეთრი ზრდა (Tchanturidze, 2018), შრომით კანონმდებლობაში მორიგი ცვლილებები 2010[8] და 2013[9]

[4] ''ასოცირების ხელშეკრულება ერთის მხრივ ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის საზოგადოებისა და მის წევრებსა და მეორეს მხრივ საქართველოს სახელმწიფოს შორის'', გვ.89 ,,ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part ''
https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)

[5] იქვე გვ.89

[6] იქვე გვ.120

[7] საქართველოს შრომის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/26350

[8] საქართველოს შრომის კოდექსი
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=17

წლებშიც შევიდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ რიგი ცვლილებების მიუხედავად, შრომის ინსპექცია კვლავ გაუქმებულად რჩებოდა, რასაც უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა სამუშაო ადგილებზე არსებულ შრომით უსაფრთხოებაზე[10].

აღსანიშნავია, რომ ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოს შრომითი ინსპექტირების ინსტიტუტის შექმნის კონკრეტულ ვადას უწესებდა, ეს 2019 წლის სექტემბრამდე უნდა მომხდარიყო (Tchanturidze, 2018), ხელისუფლებამ კი შრომითი ინსპექტირების ინსტიტუტის შექმნა ამ ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დაანონსა, ცვლილებები კი საბოლოოდ 2019 წელს განხორციელდა, ''შრომითი უსაფრთხოების შესახებ'' კანონის სახით[11] რომელსაც გაცხადდა შრომის ინსპექციის შექმნის შესახებ, მანამდე ერთი წლის მანძილზე დამტკიცდა არაერთი სამართლებრივი აქტი, რამაც დიდი გავლენა იქონია შრომითი ინსპექციის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და მისი პრაქტიკული ფუნქცია-მოვალეობებიც უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა[12] [13] [14] [15].

---

[9] საქართველოს ორგანულ კანონში ''საქართველოს შრომის კოდექსი'' ცვლილებების შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1951529?publication=0

[10] ომბუდსმენი მთავრობას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მოუწოდებს https://civil.ge/ka/archives/152064

[11] საქართველოს ორგანული კანონი შრომითი უსაფრთხოების შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=1

[12] საქართველოს მთავრობის დადგენილება იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
https://matsne.gov.ge/document/view/3215791?publication=0

[13] საქართველოს მთავრობის დადგენილება შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ
https://matsne.gov.ge/document/view/4443902?publication=0

[14] საქართველოს მთავრობის დადგენილება მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვლის დამტკიცების თაობაზე

ეს სამართლებრივი აქტები განსაზღვრავენ იმ სფეროებს, რაც ქართული რეალობის გათვალისწინებით მომეტებულ საფრთხეებს შეიცავენ დასაქმებულის შრომითი უსაფრთხოებისათვის, ბუნებრივია ამ სფეროების განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი მოვალეობაა, თუმცა აღსანიშნავია არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების, აქტივისტური ჯგუფებისა და დასავლური ფონდების აქტიურობა განსაკუთრებით პრობლემური სფეროების გამოყოფის პროცესში, ასეთები კი ბოლო წლების მონაცემებით პირველ რიგში სამთო-მომპოვებელი და სამშენებლო ინდუსტრიები იყო, ამგვარ ლოკაციებზე ზედამხედველი ორგანო განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება უსაფრთხოების ნორმებს, თუ კონკრეტულ ლოკაციაზე უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არის დაფიქსირებული საწარმოო ტრავმის ან გარდაცვალების შემთხვევა, ეს ინდუსტრია დაექვემდებარება შერჩევით კონტროლს[16], ინსპექციის თანამშრომლები სპეციალური ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ისინი პროფესიულად ითვისებენ, ამოწმებენ შრომის უსაფრთხოების ნორმებს, ეს ბუნებრივია აიძულებს ბიზნესებს, რომ გამოასწორონ ინფრასტრუქტურული პრობლემები.

დასკვნა

შრომის ინსპექტირების აპარატის შექმნა და მისი კონკრეტული მოვალეობებით დატვირთვა საქართველოს სახელმწიფომ ევროკავშირთან მიღწეული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განახორციელა, შრომითი უსაფრთხოების სფერო თავისთავადაც

https://matsne.gov.ge/document/view/4277583?publication=0

[15] საქართველოს მთავრობის დადგენილება მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების დაცვის შემოწმებისას შერჩევითი კონტროლის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე
https://matsne.gov.ge/document/view/4277596?publication=0

[16] იქვე

პრობლემური იყო და არაერთი გაფიცვისა თუ პროტესტის საფუძველიც გახდა, თუმცა ევროკავშირის მმართველობის სტილის „ჩამოტვირთვამ“ როგორც ამას ნეოფუნქცონალისტებიუწოდებენ შექმნა ის სამართლებრივი სივრცე, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა შრომითი უსაფრთხოების მზარდი პრობლემების შეჩერება, ბუნებრივია - ინსპექტირების დეპარტამენტი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა პრობლემების სწორი იდენტიფიცირება და მათ მიერ გადადმული პრევენციული ნაბიჯები მიუთითებს იმაზე, რომ შრომის ინსპექცია საქართველოში ევროპეიზაციის ერთ-ერთი წარმატებული პროდუქტია.

გამოყენებული ლიტერატურა

Diakonidze, A. (2018). *Labour and Employment Policies in Georgia: Facade Institutions, International Actors and the Struggle Between Ideas.* Tbilisi, Georgia: Tbilisi State University.

Flockhart, T. (2008). *The Europeanization of Europe : The Transfer of Norms to Europe, in Europe and from Europe.* Copenhagen : Danish Institute of International Studies.

Howell, K. (2002). *Developing Conceptualizations of Europeanization and European Integration : Mixing Methodologies.* Sheffield: ESRC Seminar Series / UACES Study Group on the Europeanization of British Politics.

Internatioal Labour Organization . (1986). *Labour Inspection : a Worker's Education Manual.* Geneva: International Labour Office.

Ladrech, R. (1994). Europeanization of Domestic Politics and Institutions: The Case of France. *Journal of Common Market Studies* , 69-87.

Olsen, J. (2002). The many faces of Europeanization. *Journal of Common Market Studies , 40* (5), 921-952.

Schimmelfennig, F. (2015). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance , 10* (1), 1-34.

Tchanturidze, G. (2018). *Abolition of Labour Inspection in Georgia: Consequences for Workers and the Economy.* Tbilisi: Friedrich Ebert Stiftung.

Giorgi Beridze

The Impact of the Association Agreement on the Labour Inspection Institute (from 2014 to present)

Annotation

Georgia has signed the Association Agreement with the EU in 2014. Beside the benefits, which are provided to the country of Georgia from the EU in the frame of the agreement, Georgia also took responsibility to fulfill several tasks, including the responsibility to approximate the agenda of Georgia's public policy to the standards of the EU governance.

The signing of the Association Agreement had strongly influenced the area of labour relations in Georgia and created the necessity to introduce several new regulations and even to create and strengthen various institutions, one of such institutions is the labour inspection, the main function of this institute is to provide the safety of workers at their workplace.

We try to inquire the build-up process of labour inspection in the context of the Association Agreement with the EU, the aim of the work is to describe the formation process of the workers' right advocating institute, which institute is eligible to fundamentally influence the labour relations standards in Georgia

Key words: Theory of Europeanization; Labour Relations, European Union, Association Agreement